

## რომანოზ მელოდისი

ბიზანტიური რიტმული პოეზიის პირველი სკოლის – კონტაკიონების ავტორთაგან ყველაზე ცნობილი რომანოზ მელოდისი ანუ ტბილად მგალობელია. მისი ცხოვრების დათარიღება ხერხდება ბასილი II-ის დროინდელ თვენში (მენოლოგიონში) დაცული ცნობიდან იმის თაობაზე, რომ მან ანასტასის მეფობის დროს დატოვა ბეირუთი, სადაც ამაღლების სახელობის ეკლესიაში დიაკვნად მსახურობდა და კონსტანტინეპოლს მიაშურა, თავდაპირველად იგი ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიაში დამკუდრდა.<sup>1</sup> რამდენადაც ბიზანტიის სამეფო ტახტზე ორი ანასტასი იჯდა: ანასტასი I (491-518) და ანასტასი II (713-715), გასარკვევი გახდა, რომლის მეფობის უამს მივიდა რომანოზი იმპერიის დედაქალაქში.

რუს (ვ. ვასილევსკი, ა. ვასილევი) და გერმანელ ბიზანტინისტთა გამოკვლევების შედეგად ძირითადად დასაბუთდა, რომ რომანოზი ანასტასი I-ის თანამედროვე იყო. მოკლედ გადმოვცემთ ამ საბუთებს: 1. ვ. ვასილევსკიმ სლავურ თვენში აღმოაჩინა ცნობა კონსტანტინეპოლში წმ. არტემის ტაძარში მომხდარ სასწაულთაგან მეთერთმეტეზე, კერძოდ, როგორ გალობდა ჰერაკლე კეისრის მეფობის წლებში (610-641) ვიღაც ყრმა ბრძენი რომანოზის ლექსებს.

2. რამდენადაც ზემოხსენებულ მენოლოგიონში ანასტასი მოხსენიებულია პირველისა და მეორის გარეშე, ე. ი. მეორე ჯერ კიდევ არ არსებობდა.

3. უამთააღმწერელნი თეოფანე და გიორგი ამარტოლი, ანასტასი II-ს, ხალხური ჩვეულებისამებრ, პირვანდელი სახელით არტემიოსით

<sup>1</sup> იერუსალიმის ბიბლიოთეკაის X-XI საუკუნის ხელნაწერში დაცული „რომანოზის ცხოვრება“ პაპადოპული კერამევსმა გამოსცა 1993 წელს, BZ, II.

იხსენიებენ. „რომანოზის ცხოვრებაში“ მოხსენიებული ანასტასი რომ მეორე იყოს, მის ავტორს, რომელიც, სავარაუდოდ, მონაზონი იქნებოდა, თეოფანე უამთააღმწერელი და გიორგი ამარტოლი კარგად ეცოდინებოდა და იმპერატორს ამ სახელითაც მოიხსენიებდა.

4. ზემოხსენებული ცხოვრებიდან ჩანს, რომ კონსტანტინეპოლიში მოსვლისას რომანოზი ახალგაზრდა ყოფილა. მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა, როგორც ჩანს, კარგა ხანს გაგრძელდა, რადგან, ბიოგრაფიის ცნობით, ათასზე მეტი კონსტაკიონი შეუქმნია. ის რომ კონსტანტინეპოლიში ანასტასი II-ის დროს, მე-8 საუკუნეში მისულიყო, აუცილებლად მოესწრებოდა ხატთმბრძოლობის ერესს, როგორც მართლმადიდებელი, ხატთა თაყვანისცემას დაიცავდა და ყველა შემთხვევაში უამთააღმწერლებს მისი მოღვაწეობა შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ და, რა თქმა უნდა, აუცილებლად მოიხსენიებდნენ.

5. ანდრია კრეტელის (650-720) „დიდ კანონში“ აშკარად შეიმჩნევა რომანოზის გავლენა. მაგალითად, „დიდ კანონში“ ანდრია საკუთარ სულს მიმართავს: **სულო ჩემო, სულო ჩემო, აღსდექ, რასა გძინავს? აღსასრული მოახლოებულ არს...** საკუთარი სულისადმი თითქმის ამავე მიმართვას ვხვდებით რომანოზთანაც: **ახლოვდება, სულო, აღსასრული, ახლოვდება, შენ კი ვერ ხვდები...**

6. თუკი რომანოზს VI საუკუნის მოღვაწედ ვალიარებთ, მაშინ ქრისტიანული პოეზიის, რომელმაც ჩამოყალიბება IV-V საუკუნეებში დაიწყო და უმაღლეს დონეს VII-VIII საუკუნეებში მიაღწია, განვითარების გზა ჩავარდნის გარეშე, უწყვეტად წარმოიდგინება.<sup>2</sup>

დღეისათვის მეცნიერებაში ძირითადად დადგენილია, რომ რომანოზი დაიბადა მე-5 საუკუნის ბოლოს, კონსტანტინეპოლიში ჩავიდა ანასტასი

<sup>2</sup> В. Василевский, Когда жил Роман Сладкопевец, В. Вр., I, 1894. А. Василев, Время жизни Романа Сладкопевца, В. Вр., VIII, 1901, № 435-478. K. Krumbacher, Geschichte... № 663-669.  
ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტ. ლიტ. ისტორია, № 135-139.

პირველის დროს და მისი მოღვაწეობა გაგრძელდა იუსტინე პირველისა (518-527) და იუსტინიანე დიდის (527-565) მეფობის წლებში. ამას ადასტურებს მის 62-ე კონტაკიონში მოხსენიებული „ნიკას“ სახელით ცნობილი აჯანყება, რომელიც 532 წელს მოხდა და მე-14 კონტაკიონი, რომელშიც ზღვის ნაპირის უკან დახევაზე საუბრობს, რაც 552 და 555 წლების მიწისძვრებით იყო გამოწვეული.

რომანზი, რომელიც ეროვნებით სირიელი იყო და განათლება ედესაში მიიღო, არც წარმოშობითა და არც აღზრდით არ უკავშირდებოდა ანტიკურ საბერძნეთს. შეიძლება ესეც დაეხმარა მას იმაში, რომ საბოლოოდ გაეწყვიტა კავშირი ანტიკური ლექსთწყობის სასკოლო ტრადიციებთან და ახალ პრინციპებზე დამყარებული წმინდა ბიზანტიური პოეზია შეექმნა. ბეირუთში ეკლესიაში მსახურება მან პარამონარობიდან დაიწყო. მის მოვალეობას ღმრთისმსახურების წინ ზარების დარეკა, კანდელების ანთება-ჩაქრობა, და მღვდელმსახურისათვის საცეცხლურის მომზადება შეადგენდა.

კონსტანტინეპოლში ჩასულმა რომანზმა ეკლესიის მსახურება ჯერ ღმრთისმშობლის სახელობის, ხოლო შემდეგ აია სოფიის ტაძარში გააგრძელა. თუმცა განათლების მაღალი დონით არ გამოირჩეოდა, მაგრამ კეთილ საქმეთა წრფელი სამსახურით ბრძენ მწიგნობართაც აღემატებოდა, რადგან ერთი იმათგანი იყო, რომელთა შესახებაც პავლე მოციქული ბრძანებს: **უძლურნი იგი სოფლისანი გამოირჩინა ღმერთმან, რათა არცხვინოს ძლიერთა** (I კორინ. 1,27). სწორედ მსახურებისას გამოჩენილი გულმოდგინების გამო შეიყვარა იგი პატრიარქმა ექვთიმებ (490-496) და კლირიკოსთა (წიგნის მკითხველთა და მგალობელთა) თანაბარი პატივი უბოძა, რითაც მათი აღშფოთება გამოიწვია.

ერთხელ, შობის წინა საღამოს, როცა ტაძარში იმპერატორი მობრძანდა, იცოდნენ რა, რომ ამას ვერ შეძლებდა, კლირიკოსებმა

რომანოზი ამბიონზე ძალით აიყვანეს და რადგან მათი თანაბარი პატივით სარგებლობდა, მოსთხოვეს მასაც ისევე ეგალობა ღმრთის სადიდებლად, როგორც თვითონ გალობდნენ. ხალხისა და იმპერატორის წინაშე ამგვარმა დამცირებამ და სირცხვილის განცდამ რომანოზი აატირა. როცა მსახურება დამთავრდა და ტაძარი ხალხისგან დაცარიელდა, იგი ღმრთისმშობლის ხატის წინაშე დაემხო და ყოვლადწმიდას დამცირებისა და სირცხვილისაგან ხსნას ცრემლებით შეევედრა. მწუხარებისაგან დაღლილს ჩაეძინა; ძილში მას ყოველთა მწუხარეთა ნუგეშინისმცემელი დედა ღმრთისა გამოეცხადა ხელში პატარა გრაგნილით, რომელიც გადასცა და უბრძანა გადაეყლაპა. გამოლვიძებულ რომანოზს გული გამოუთქმელმა სიხარულმა აღუვსო და გონება წიგნიერმა გულისხმიერებამ გაუნათა. როცა ღამისთევით ლოცვაზე დღესასწაულის სადიდებელი გალობის ჟამი დადგა, იგი ამბიონზე ავიდა და ტკბილად იგალობა საგალობელი, რომელიც თვითონვე შეთხზა: „დღეს ქალწული ზეარსს შობს“... წიგნის მკითხველებსა და მგალობლებს, რომელთაც შეურაცხყოფა მიაყენეს, შერცხვათ თავიანთი საქციელისა, სინანულის გრძნობა აღეძრათ და შენდობა სთხოვეს, ხოლო პატრიარქმა მაშინვე დიაკვნად დაადგინა. აქედან მოყოლებული, რომანოზის პირიდან სიბრძნე, ვითარცა მდინარე, უწყვეტად გადმოედინებოდა და ვინც ადრე უსწავლელობისათვის დასცინოდა, ღმრთისმეტყველებას მისი პიმნებიდან სწავლობდა.

კონტაკიონი ასეთი სახით სრულდებოდა: კუკულიონსა და სტროფებს სოლისტი, ამ შემთხვევაში, თავად რომანოზი ასრულებდა, ხოლო კუკულიონისა და სტროფების რეფრენს – მთელი ხალხი. როგორც ამას კონტაკიონების აკროსტიქები გვიდასტურებენ, რომანოზი თავის პოეტურ ქმნილებებს სხვადასხვა სახელს აძლევდა: ჰიმნი (սტიკი), ეპოსი (tə; eþo~), შესხმა (oJ aïjø~), ფსალმუნი (oJ yałmo~), პოემა (tə; poihma),

გალობა (hJ wjh), ვედრება (hJ dehsi~), ლოცვა (hJ proseuchj). რაც შეეხება ტერმინს – **კონტაკიონი** (to; kontaktion), ის საგალობლებს შედარებით გვიან, მე-9 საუკუნეში ეწოდა, როცა ზუსტდებოდა სახელწოდებანი გალობებისა, რომელიც საღმრთისმსახურო წიგნებში შედიოდნენ. ბერძნები კონტაკინს, საიდანაც შემდეგში კონდაკი წარმოდგა წიგნისაგან განსხვავებით, რომელიც ოთხად დაკეცილი პერგამენტებისგან (to; tetradion) შედგებოდა, ჯოხზე (oJ kont o~) დახვეულ გრაგნილს უწოდებდნენ. ამიტომაც ფიქრობენ, რომ ჰიმნების საერთო სახელწოდება – კონტაკიონი სწორედ იმ ჯოხისაგან უნდა მომდინარეობდეს, რომელზეც საგალობელის ტექსტის შემცველი ხელნაწერი იყო დახვეული.

რომანოზის კონტაკიონების მუსიკალური მელოდიებისათვის შესაფერისი ფორმა და დახვეწილი სტილი იმაზე მეტყველებს, რომ მისი მოღვაწეობის პერიოდისათვის ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიას უკვე ჩამოყალიბებული, მდიდარი ლიტერატურულ-მუსიკალური ტრადიციები ჰქონდა და ისინი ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. იმავეს თქმა შეიძლება ჰიმნების თემატიკაზეც. წმინდა წერილის წიგნები, ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები თუ ქრისტიან მოაზროვნეთა საღმრთისმეტყველო-ზნეობრივი ხასიათის თხზულებანი უხვ მასალას იძლეოდა სამების პირთა, ქრისტიანულ დღესასწაულთა თუ ცალკეულ წმინდანთა სადიდებელი საგალობლებისათვის. სწორედ თემატიკიდან გამომდინარე, ეწოდა მეცნიერებაში ჰიმნებს „რელიგიური დრამა“ და „ლირიკული ქადაგება“. ამასთან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვითარცა რეალისტ შემოქმედს, რომანოზს მხედველობიდან არც ის პრობლემები გამორჩენია, რომელიც მის თანამედროვე ეკლესიას და საზოგადოებას აღელვებდა. მონოფიზიტურ ერესს, რომელმაც ეკლესიაში მშვიდობა საკმაოდ დიდი ხნით დაარღვია, პოეტმა ორი

პოემით: „მარიამი და მოგვები“ და „მარიამი წინაშე ჯვრისა“ უპასუხა. იმის დასამტკიცებლად, რომ ქრისტემ სრული კაცობრივი ბუნება შეიერთა, რომანოზი ღმრთისმშობლის დედობრივ გრძნობებს წარმოაჩენს. ცნობილია, რომ დედის გული ხშირად წინასწარ გრძნობს საშიშროებას, რომელიც მის შვილს ემუქრება. იგივე ემართება ყოვლადწმიდა ქალწულსაც, როცა ახალშობილი ჩვილის თაყვანსაცემად ბაბილონიდან მოსულ მოგვებს ეკითხება, ხომ არ იცოდნენ რაიმე იმ ბოროტ განზრახვათა შესახებ, რომელიც ჩვილი იესოს მიმართ შეიძლება ჰეროდეს ჰქონდა.

ღმრთისმშობელი გაკვირვებას გამოხატავს იმის გამო, რომ მოგვებმა მშვიდობით გამოიარეს იერუსალიმი – „ეს წინასწარმეტყველთა მკვლელი, ყველასათვის ბედუკულმართი ქალაქი“ და ეკითხება მათ: „ან ახლა როგორ იფარავენ თავს უსჯულო ჰეროდესაგან, რომელიც მკვლელობებით ცოცხლობს?“ (სტრ. 16). მაგრამ მოგვები პასუხობენ, რომ მათ არც უცდიათ დამალვოდნენ ჰეროდეს, პირიქით, დასცინეს, როცა მთელი ქალაქი გამოიარეს და ყველას ეკითხებოდნენ, სად იშვა „ყრმა ახალი, ღმერთი წინასაუკუნეთა“. სურს რა გარკვევით იცოდეს, რა განზრახვა აქვს ჰეროდესა და ფარისევლებს ახალშობილის მიმართ, ღმრთისმშობელი მოგვებს სთხოვს უთხრან, როგორი შეკითხვები დაუსვეს მათ ჩვილთან დაკავშირებით. თუმცა მოგვების მიერ მოთხოვობილში არაფერი იყო ისეთი, რაც ჰეროდეს ბოროტ განზრახვაზე მიანიშნებდა, მაგრამ ყოვლადწმიდა ქალწულის დედობრივი სიყვარულით აღვსილი გულის საბოლოოდ დასამშვიდებლად საკმარისი არც ეს გამოდგა. როცა მოგვებმა ყრმას თაყვანის სცეს და ძლვენი მიართვეს, დედა ღმრთისა თავის ძეს მიმართავს და მთელ სამყაროს ავედრებს: იგი ევედრება მას კეთილგანზავებულობისათვის ჰაერისა, მიწიერ ნაყოფთა სიუხვისა და დედამიწის მკვიდრთა სულების

ხსნისათვის (სტრ. 23), ხოლო სავედრებელს შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: „მაცხოვარო, აცხოვნე სოფელი, რისთვისაც მოხვედი; დაამტკიცე ყოველი უვნებლად, რამეთუ შენ ჩემთვის, მოგვებისა და ყოველი ქმნილებისათვის ამობრწყინდი“.

როგორც ამ ვედრებიდან ჩანს, ყოვლადწმიდა მარიამს სავსებით შეგნებული და გააზრებული აქვს, რომ სამყაროს შემოქმედსა და მპყრობელს მიმართავს, მაგრამ დედობრივი ინსტიქტი ჩვილის გაფრთხილებისა და მფარველობისა მაინც არ ტოვებს და ათქმევინებს: „აი, მოგვები, რომელნი განანათლა ნათელმან შენისა სახისამან, შეგივრდნენ შენ და მოგართვეს ძლვენი – ოქროხსანი, მშვენიერნი, ფრიად ნატიფნი. მე ისინი მჭირდება, რადგან განზრახული მაქვს შენთვის და შენთან ერთად ეგვიპტეში გავიძე, წინამძღვარო ჩემო, ძეო ჩემო, შემოქმედო ჩემო, მაცხოვარო ჩემო, ყრმაო ახალო, ღმერთო წინასაუკუნეთაო“.

მიუხედავად იმისა, რომ განკაცებული ღმერთი შვა, კონტაკიონში „მარიამი წინაშე ჯვრისა“ ყოვლადწმიდა ქალწული არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი დედისაგან, რომელსაც შვილის მომავალი მწარე ხვედრი ენითუთქმელ ტანჯვას განაცდევინებს.

კონტაკიონი „ათ ქალწულზე“, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, რომანოზ მელოდოსმა იოვანე ოქროპირის თვალსაზრისის გავლენით დაწერა, რომლის მიხედვითაც მოწყალება ყველა სხვა ქრისტიანულ სათნოებას აღემატება, მათ შორის ქალწულობასაც. სახელდობრ იოვანე ოქროპირი წერს: „რამდენადაც ქალწულობა დიდი ღვანლია და მისი მაღალი გაგება ბევრს აქვს, ამდენად, ვინც მას იცავს, უზრუნველობას რომ არ მიეცეს ვითარცა ყოველივეს აღმსრულებელი და აქედან გამომდინარე, დაუდევარი არ გახდეს, იესოს ეს იგავი მოჰყავს“ (იგულსხმება იგავი ათი ქალწულის

შესახებ, მთ. XXV, 1-13), რომელიც გვარწმუნებს, რომ ქალწულობა და სხვა სათნოებანი, მოწყალების საქმეთა გარეშე, მრუშობასთან ერთად განისჯება (განმარტება მათეს სახარებისა, საუბ. 78-ე). სხვაგან მას კიდევ უფრო კატეგორიულად აქვს ნათქვამი: „ქალწულობის გარეშე სასუფევლის ხილვა შეიძლება, ხოლო მოწყალების გარეშე ეს სრულიად შეუძლებელია... ყველაზე საჭირო მოწყალებაა, იგი ყოველივეს მოიცავს“ (იქვე, საუბ. 47).

რომანოზის ჰიმნი 31 სტროფს შეიცავს და სამი კუკულიონი აქვს, პირველი და მესამე ათი სტრიქონისაგან შედგება, ხოლო მეორე – ხუთი სტრიქონისაგან. აკროსტიქია: „ეს თხზულება მდაბალი რომანოზისაა“ (Toū tapeinoū R̄wmanoū tōuto to; poihma).

პირველ კუკულიონში ქალწულები ერთმანეთს მოუწოდებენ სასურველი სასიძოს შესაგებებლად მოამზადონ ჩირალდნები, რომლებიც სათნოებითა და მართალი სარწმუნოებით იბრწყინებენ, რათა, ვითარცა ბრძენნი, როცა უფალი მოვა, საქორწინო დარბაზში მასთან ერთად შევიდნენ, სადაც გულმოწყალე ღმერთი უხრწნელ გვირგვინს ყველას უბოძებს. მეორე კუკულიონში ქალწულები უშუალოდ ქრისტეს მიმართავენ ვედრებით, მიანიჭოს მათ ძალა, ქორწილზე უბინოდ მისვლისა, რათა, ვითარცა ქალწულებმა, უხრწნელი გვირგვინები მიიღონ. მესამე კუკულიონში ქალწულები ისევ ერთმანეთს მიმართავენ, რომ, უკეთუ უხრწნელ გვირგვინთა მიღება სურთ, მსაჯულის წინაშე მარხულნი, ცრემლებით, სინანულითა და თანალმობით უნდა მივიღნენ და ყოველთა შემოქმედისაგან ცოდვა და შენდობა უნდა ითხოვონ.

შესავლის შემდეგ რომანოზი ცდილობს გაანალიზოს მათეს სახარებაში ქრისტეს მიერ გადმოცემული იგავი ათი ქალწულის შესახებ, კერძოდ, ქალწულები სვამენ კითხვას, როგორ მოხდა, რომ ათიდან, რომელთაც ქალწულობის სათნოება დაიცვეს, ხუთის ლვანლი უნაყოფო

გამოდგა და სიძემ საქორწინო დარბაზში სიხარულით დანარჩენი ხუთი შეიყვანა, რომელთაც ხელში კაცთმოყვარების ჩირალდნები ეჭირათ?

პოეტი მოუწოდებს მორწმუნებს ერთად შეევედრონ მაცხოვარს, უბოძოს მათ ცოდნა მისი მცნებებისა, რათა შეიცნონ გზა სასუფევლისაკენ, რომელსა შინა შესვლასა და უხრწნელი გვირგვინის მიღებას სასოებენ.

მრავალნი, რომელთაც მარადიული ნეტარების მოპოვება სურთ, გულმოდგინედ იცავენ ქალწულობას, მკაცრად მარხულობენ, ხანგრძლივად ლოცულობენ, დოგმატთა სიწმინდეს უფრთხილდებიან, მაგრამ კაცთმოყვარება ავიწყდებათ, რის გამოც მთელი მათი ღვაწლი ამაოა და ვერცერთი მათგანი, რომელთაც ადამიანთა თანაგრძნობა არ გააჩნიათ, უხრწნელ გვირგვინს ვერ მიიღებს.

მორწმუნებს, რომელნიც ცდილობენ თავიანთი ცხოვრება ზეციური სასუფევლისაკენ წარმართონ და ამ გზაზე მრავალ სათნოებას ტვირთად ეზიდებიან, რომანოზი ადარებს ხომალდს, რომელიც თუმცა ყოველმხრივ აღჭურვილია, მაგრამ რადგანაც მის მეზღვაურებს აფრები დაავიწყდათ, ცურვის გასაგრძელებლად ვერც საჭე და ვერც მესაჭის სიმარჯვე ვეღარ შველის (სტრ. IV). მსგავსად იმ კაცისა, რომელმაც მშვენიერი სახლი ააგო და კეთილმოაწყო, მაგრამ არ გადახურა და მთელი ჯაფა წყალში ჩაეყარა, ყოველივეს ღუპავს მრავალთა სათნოებათა შემკრებელიც, თუ მათ მოყვასის თანალმობის სახურავით არ გადახურავს (სტრ. VI).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განიცდის რა იოვანე ოქროპირის ზეგავლენას, რომანოზი აყალიბებს თავის შეხედულებას მოწყალებაზე, რომელიც ყველა სხვა სათნოებას ამარცხებს; დგას რა ყველაზე მაღლა, იგი წინაშე ღმრთისა ჭეშმარიტი ნათელით ბრწყინვას, აპობს ჰაერს, ადის მაღლა და მაღლა, მნათობთა ზედა და დაუბრკოლებლად აღწევს ცათა კარიბჭემდე, არც აქ ჩერდება, არამედ გაუსწრებს რა ანგელოზებსა

და მთავარანგელოზებს, თვით ღმერთამდე აღწევს, წინაშე მისი ტახტისა დგას და უხრწნელ გვირგვინს ითხოვს (სტრ. IX).

სახარების იგავის ხუთი ქალწულიც იმიტომ აღმოჩნდა ჩაკეტილი საქორწინო დარბაზის გარეთ, რომ ქალწულობის მოიმედეებმა მოწყალების საქმენი დაივიწყეს. ამაო გამოდგა მათი ვედრებაც სიძისადმი – გაელო მათთვის კარები, უფალმა უარით უპასუხა, თუმცა მათ ისევე, როგორც იმ ხუთმა, რომელიც ქორწილზე შეიყვანა, თავიანთ თავში ვნებათა ალის ჩაქრობა, ხორციელ სურვილებზე გამარჯვება და ცხოვრების უბინოდ გატარება შეძლეს. რომანოზი პასუხად ქრისტეს ათქმევინებს, რომ, მართალია, ისინი იცავდნენ მარხვასა და ქალწულობას, მაგრამ ღმრთისმოსაობის საქმეთა გარეშე, ამაოდ დაშვრნენ, რადგან უსახლკაროებს, გაჭირვებულებსა და სწეულებს ათვალწუნებით უყურებდნენ, მშიერთათვის არასოდეს გაუწოდებიათ დახმარების ხელი და მხოლოდ პირფერობა ამოძრავებდათ. თავი მოჰქონდათ რა ყოველთვის არაადამიანურობით, შემწეობას იმათაც კი არ უწევდნენ, რომელნიც კარებზე უკაკუნებდნენ, მკაცრად ესხმოდნენ თავს ცოდვილებს, თვით ახლობელთა მიმართაც კი შეუწყალებელნი იყვნენ, თითქოს თვითონ არასოდეს შეეცოდათ, არამარხველებს გაკიცხულებად თვლიდნენ, დაქორწინებულებს – უწმინდურებად და მართლებად მხოლოდ თავიანთ თავს მიიჩნევდნენ, თუმცა უხრწნელი გვირგვინი მიღებული ჯერ კიდევ არ ჰქონდათ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მაცხოვარი სვამს კითხვას: რა სჯობს: ჭამა- სმა და ცხოვრება სინდისის მიხედვით, თუ მარხვა და ბიწიერ საქმეთა მოუფრთხილებლობა? რა სარგებლობა მოაქვს მარხვასა და ქალწულობას, თუ მათ თან კვეხნა და ქედმაღლობა ახლავს? იესო ქრისტე უარყოფს მოწყალების საქმეთა გარეშე დაცულ მარხვას და უპირატესობას, იმათ ანიჭებს, რომელნიც, მართალია, ჭამისაგან თავს არ

იკავებენ, მაგრამ მოწყალება არ ავიწყდებათ; არ უყვარს შეუწყალებელი ქალწულები, ხოლო კაცთმოყვარეებს, თუნდაც დაქორწინებულებს, პატივს მიაგებს, რადგან პატიოსანი ქორწინება იგივე სიწმინდეა და ამიტომაც იმსახურებს უხრწნელ გვირგვინს. მაგალითები ცოდვილთა შეწყალებისა თავად მაცხოვარმა მოგვცა: მან შეუნდო მეძავს, რომელიც ცრემლებად იღვრებოდა, მეზვერეს, რომელმაც სინანული გამოხატა, პეტრეს, რომელმაც სამგზის უარყო, მაგრამ როცა ამის გამო სინანულით ატირებული იხილა, მის მიმართ თანაგრძნობით განიმსჭვალა.

ხუთმა გონიერმა ქალწულმა, რომელნიც სიძეს ანთებული ჩირალდნებით შეეგებნენ, სასუფეველში მასთან ერთად შესვლა მოწყალების საქმეებით – ქვრივთა დაცვით, ობოლთა შებრალებით, დაჩაგრულთა თანაგრძნობით, გლახაკთა და მწირთა შინ მიღებით და უძლურთა განკურნებაზე ზრუნვით დაიმსახურეს.

თუ გვაქვს სურვილი ზეთის ყიდვისა, ანუ მოწყალების საქმეთა სამსახურისა, იგი მოედნებზე იყიდება, მისი გამყიდველები ისინი არიან, რომელნიც თანაგრძნობას საჭიროებენ. ღმრთის მცნებათა შესრულება ძნელი არაა, რადგან ის ჩვენგან იმას, რაც არ შეგვიძლია, არ მოითხოვს. თუ მხოლოდ ორი ობოლი გაქვს, ყოვლადმოწყალე მასაც ისევე მიიღებს, როგორც ვინმე მდიდრისაგან შეწირულ დიდძალ თანხას, ხოლო თუ არც ეს ორი ობოლი გაქვს, შეგიძლია მთხოვნელს ერთი ჭიქა ცივი წყალი მიაწოდო, რომელსაც ასევე მაღლობით შეიწყნარებს.

ჰიმნის დასასრულს რომანოზი ევედრება ქრისტეს შეიწყალოს და შეუნდოს ცოდვანი, რადგან თვითონ არ იქცევა ისე, რისკენაც სხვებს მოუწოდებს. სთხოვს უფალს მასაც და მის მსმენელებსაც მისი მცნებების დასაცავად შემუსრვილი გული მისცეს, რათა ატირებულნი საქორწინო სასახლის გარეთ არ აღმოჩნდნენ, და უფლის მიერ მოწოდებულებმა უხრწნელი გვირგვინი მიიღონ.

**ღმრთისმშობელი წინაშე ჯვრისა.** ალბათ, შეუძლებელია სრულიად გადმოცემა იმ სულიერი წამებისა, რასაც შეიძლება დედა განიცდიდეს, რომელიც ჯვარცმისათვის მიმავალ შვილს მიჰყვება უკან, მაგრამ რომანოზის მიერ აღწერილი შინაგანი მდგომარეობა ყოვლადწმინდა ქალწულისა მკითხველზე მაინც ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს. აუტანელ ტანჯვას, რასაც იესოს მოახლოებული წამების მოლოდინი განაცდევინებს, ღმრთისმშობელს იმ ბედნიერ დღეთა გახსენება უმსუბუქებს, როცა ძის მიერ კაცთა სამსახურისთვის აღსრულებული სასწაულები დედობრივ სიამაყესთან ერთად დიდ სიხარულსაც ანიჭებდა. ერთ-ერთი ასეთ სასწაულთაგანი კანაში გამართულ ქორწილში იესოს მიერ წყლის ღვინოდ გადაქცევა იყო. ყოვლადწმიდა ქალწული შვილს ეკითხება, სად მიიჩქარის ჩქარი ნაბიჯებით, ისევ კანაში ხომ არა, ოღონდ ამჯერად უკვე სხვა ქორწილზე? და ევედრება პასუხი გასცეს: „მითხარი სიტყვა, **სიტყვაო**, დუმილით გვერდს ნუ ჩამივლი“ (სტრ.).

იესო დედას შეახსენებს, რომ მას, ვითარცა ყოვლად ბრძენ ქალწულს, რომელსაც კურთხეული (eughmenh) ეწოდა, სხვა ქალთა მსგავსად ტირილი არ შეჰქერის (სტრ. V). ღმრთისმშობელს შვილის პასუხი ვერ ამშვიდებს, რადგან, როგორც დედა, თავს სხვა ქალებისაგან არ გამოარჩევს: „რად მეუბნები, რომ სხვა ქალებს არ დავემსგავსო? მეც ხომ მათ მსგავსად მუცლით გატარე და ჩემი მკერდის რძით გამოგვებე? როგორ გინდა, რომ არ დავიტირო შვილი, რომელიც უსამართლო სიკვდილის მისაღებად მიაპიჯებს? შვილო ჩემო, შენ გსურდა ჩემს თვალებზე ცრემლი შეგეშრო, მაგრამ გული ჩემი კიდევ უფრო მეტად დაამძიმე“ (მე-7 სტრ.).

იესო განუმარტავს დედას მისი ნებაყოფლობითი ტანჯვის უდიდეს მნიშვნელობას პირველ წინაპართა – ადამისა და ევასათვის. ეს განმარტება ღმრთისმშობელს თითქოს ამშვიდებს, მაგრამ ფიქრი იმაზე,

რომ შვილს მეტად ვეღარ იხილავს, შემაძრნუნებელ შიშს ჰგვრის. სწორედ ამ შიშს გამოხატავს დიალოგის ბოლოს ძისადმი მიმართული სიტყვები: „უკეთუ შენ ადამსა და ევასთან წახვალ, განა შემეძლება კიდევ გიხილო?“ მაშინ დედა, რომელსაც შვილი ენატრება, ბუნებრივია, დაიწყებს მოთქმას: **სადა ხარ შენ, ძეო ჩემო და ღმერთო ჩემო?** (მე-11 სტრ.).

**იუდას გამცემლობა.** რომანოზის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კონტაკიონს „იუდას გამცემლობა“. ამ ჰიმნის ლიტერატურულ წყაროსაც ახალი აღთქმა წარმოადგენს. მასში კაცობრიობის ისტორიაში, ყველაზე საზარელი გამცემლობას, გამცემლობა ყოველთა შემოქმედი ღმერთისა, რომელიც საკუთარი ქმნილების სიყვარულით ისე დამდაბლდა, რომ ცოდვისა და სიკვდილის ტყვეობიდან მის გამოსახსნელად განკაცდა და კაცობრივი ბუნება შეიერთა, შეპირისპირების გზით წარმოგვიდგინა; კერძოდ, იგი ერთმანეთს უპირისპირებს შემოქმედის უსაზღვრო სიყვარულსა და ენითუთქმელ უმადურობას, რომლითაც ამ სიყვარულს თორმეტი უახლოესი მოწაფისაგან ერთ-ერთმა, იუდამ უპასუხა. მიუხედავად იმისა, რომ წილად ხვდა წარმოუდგენელი ბედნიერება – უფალს ხლებოდა, მოწმე ყოფილიყო მის მიერ აღსრულებული სასწაულებისა და უშუალოდ მისგან მოესმინა ღმრთეებრივი მოძღვრება, განსაცვიფრებელი სულმოკლეობა, და გონების სისუსტე გამოიჩინა და სიხარბის ვნებით შეპყრობილმა უფალი გასცა, გასცა ის ვინც მოწაფეებს საკუთარი მაგალითით აჩვენა, რამდენად უცხოა ჭეშმარიტი სიყვარულისათვის ამპარტავნება და ეგოიზმი, როცა შემოქმედმა ისიც კი არ ითაკილა, რომ ქმნილებებისათვის ფეხები დაებანა: არა მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ, საერთოდ, კაცთა მოდგმის საუბედუროდ, სრულყოფილი სიყვარულის ვერც ასეთმა უჩვეულო გამოხატულებამ აანთო

მადლიერებისა და საპასუხო სიყვარულის ნაპერწკალი, რომელიც მის გაციებულ გულს გაათბობდა და დაბნელებულ სულსა და გონებას გაუნათებდა. ამიტომაც მაცხოვრისაგან განბანილი ფეხებით მის გასაცემად სინდისის ქენჯნისაგან შეუწუხებლად წავიდა.

იაზრებს რა ბოლომდე სახარებაში მოკლედ აღწერილი ლალატის მთელ საშინელებას, პოეტს ბუნებრივად აღმოხდება:

„განალა ვინმეს უხილავს,  
განალა ვინმეს სმენია,  
უფალი მონას კირთებრ ფეხს ბანდეს,  
მონა სანაცვლოდ ფეხით თელავდეს,  
აღუწერელი სიყვარულისთვის  
გაუგონარი უმადურება?“<sup>3</sup>

თუ იუდამ უფლის სამსახური ისე მიიღო, თითქოს ამაში უჩვეულო არაფერი იყო და ეს მას დამსახურებული ჰქონდა, როცა მისი ჯერი დადგა და მაცხოვარი არდაგითა და წყლიანი საბანელით მასთან მივიდა, შეძრწუნებულმა პეტრემ ჰკითხა: უფალო, შენ დამბანა ფერქთა ჩემთა? (ინ. XIII,6) და წინააღმდეგობის გაწევაც სცადა: არა დამბანნე ფერქი ჩემნი უკუნისამდე (ინ. XIII,8). აქ პოეტი თავს იმის გადმოცემის უფლებას აძლევს, რაც სახარებაში არაა აღწერილი, ანუ იმას, რა განცდა შეიძლებოდა დაუფლებოდა პეტრეს, რომელსაც იმის გააზრებამ, რომ განკაცებული ლმერთი მას, მის მონას, ფეხებს დაპბანდა, ზარი დასცა და იესოს ვედრებით მიმართა:

„მოძლუარ, მოძლუარ, ყოვლით განბანნე,  
ნუ ხოლო ფერქთა ჩემთა, მოძლუარ!  
რომე ნაწილთა შენთა შევერთო,  
სუფევს შენსას შემისართე“.<sup>4</sup>

<sup>3</sup> იუდას გამცემლობა, ბიზანტიური მწერლობის ქრესტომათია, ტ. I, თბ., 1994, თარგმნა ნ. ბარამიძემ.

ვერცხლისმოყვარების სენით დაავადებულს უფლისადმი აღძრულმა შურმა გული ისე გაუქვავა, რომ პეტრესგან განსხვავებით, იუდამ ვერ შეიგრძნო მადლი ღმრთებრივი სიყვარულისა, რომელმაც გამოხატულება განსაცვიფრებელ თავმდაბლობაში ჰპოვა და ნაცვლად იმისა, რომ სიყვარულზე სიყვარულით ეპასუხა, განზრახული ღალატის აღსასრულებლად აჩქარდა, შემოქმედი ვაჭრობის საგნად აქცია და „შეუფასებელს ფასი დაადო“. ვერ მოუტანა ბედნიერება ღალატის საფასურად აღებულმა ფულმა იუდას, პირიქით, ღმერთის გამცემმა ვერ გაუძლო ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, მაგრამ გონს მოსვლა გვიანი გამოდგა, რადგან ჟამი სინანულისა უკვე გარდასული იყო.

ჰიმნი მთავრდება უფლისადმი ვედრებით, განარიღოს მისი მორწმუნენი „გზათაგან ბილწთა, ყოვლად ულირსთა ცოდვისათა“, რომელსაც იგი იმ შემთხვევაში შეისმენს, თუ ღალატის ბნელთა საქმეთა მოძულებასა და უფლისკენ მიმავალ გაბრწყინვებულ გზაზე განმტკიცებას თავად მორწმუნებიც შეეცდებიან.

მეცნიერებაში აღნიშნულია რომანოზ მელოდოსის შემოქმედების ზეგავლენა არა მხოლოდ მომდევნო ეპოქის ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაზე (მაგ., ანდრია კრეტელის „დიდი კანონი“), არამედ შუასაუკუნეების დასავლეთში შექმნილ ისეთ ცნობილ ჰიმნებზეც, როგორიცაა Dies, irae და Stabat mater.<sup>5</sup>

**ჰიმნი აკათისტო.** ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის პირველ სკოლას მიეკუთვნება ღმრთისმშობლის სადიდებელი საგალობელი, რომელიც აკათისტოს (Umao~ aκαθιστο~ – დაუჯდომელი) სახელითაა ცნობილი. ეს სახელწოდება იმაზე მიუთითებს, რომ ამ ლიტურგიკული ხასიათის

<sup>4</sup> ოქვე, გვ. 76-77.

<sup>5</sup> Аверинцев С. Византийская литература IV-VII вв. История Византии т. I М., 1967. გვ. 428.

თხზულებას მლოცველები არა დამსხდარნი, არამედ ფეხზე მდგარნი ისმენდნენ (kaqizw—ვზივარ).

ჰიმნის ავტორად მეცნიერებაში რამდენიმე ავტორი სახელდება, რომელიც სხვადასხვა საუკუნეში მოღვაწეობდნენ, მათ შორის, რომანოზი (VI ს.), პატრიარქები: სერგი (VII ს.), გერმანოზი (VIII ს.) და ფოტიოსი (IX ს.). აღსანიშნავია, რომ ჰიმნის შექმნის თარიღისა და ავტორის დასადგენად მკვლევარები ძირითადად საგალობლის შესავალს ეყრდნობიან, რომელშიც ჰიმნის შემთხვევი მადლიერებით მიმართავს ღმრთისმშობელს, ვინც კონსტანტინეპოლისი საშინელი განსაცდელისაგან იხსნა. ზოგიერთმა მკვლევარმა შესავალში მოხსენიებულ განსაცდელად 860 წელს დედაქალაქზე სკანდინავიელი როსების თავდასხმა მიიჩნია და აქედან გამომდინარე, ავტორად პატრიარქი ფოტიოსი დაასახელა.<sup>6</sup> მაგრამ ფოტიოსის ავტორობა აკათისტოს IX საუკუნის ხელნაწერით მოღწეულმა ლათინურმა თარგმანმა გამორიცხა. გარდა იმისა, რომ საეჭვოა IX საუკუნეში შექმნილი ჰიმნი ლათინურად მაშინვე ეთარგმნათ, თარგმანის სქოლიოში ავტორად პატრიარქი გერმანოზი (715-730 წწ.) სახელდება, რომელსაც ეს ჰიმნი მაშინ შეუთხზავს, როცა ღმრთისმშობელმა დედაქალაქი მუსულმანების თავდასხმისას განადგურებას გადაარჩინა (717-718 წწ.). ო. ბარდენჰევრი ამ ცნობის უგულებელყოფის მიზეზს ვერ ხედავდა და თვლიდა, რომ ავტორი მართლაც გერმანოზი უნდა ყოფილიყო.

პატრიარქი სერგის ავტორობას მხარს უჭერს ბიზანტიური ტრადიცია, რომელიც ახალი საბითებით გაამყარა ს. ავერინცევმა; კერძოდ, მან ყურადღება ორ ფაქტს მიაქცია: 1. საგალობლის მიხედვით, ქრისტიანობის მთავარ მტრად მაზდეანობა (ცეცხლთაყვანისმცემლობა)

<sup>6</sup> Пападопуло-Керамевс Акафист, В. Вр. X, გვ. 357-401; О Настоящем положении вопроса об Акафисте, В. Вр. XV, გვ. 357-383.

სახელდება, რაც 630-იანი წლებიდან ანუ იმ დროიდან, როცა ბიზანტია უკვე ვეღარ აუდიოდა გამუსულმანებული არაბების განუწყვეტელ შეტევებს და ზედიზედ კარგავდა პროვინციებს, რომელნიც ახალ სარწმუნოებას თითქმის წინააღმდეგობას გაუწევლად იღებდნენ, რეალობას აღარ შეესაბამებოდა. 2. აკათისტოს ავტორი აშვარად უპირისპირდება კოსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოს ნესტორსა და მის მიმდევრებს, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ რამდენადაც ყოვლადწმინდა ქალწულმა არა ღმერთი, არამედ კაცი შვა, ამდენად მისთვის არა ღმრთისმშობელი, ქრისტესმშობელი უნდა ეწოდებინათ. რამდენადაც ავტორი იცავს სწავლებას იმის თაობაზე, რომ განკაცებული სიტყვა ღმერთი ყოვლადწმინდა ქალწული მარიამისაგან იშვა, რისთვისაც მას ღმრთისმშობელი ეწოდა, თარიღად, რომელზე ადრეც საგალობელი არ უნდა იყოს შეთხზული, ს. ავერინცევის აზრით, 431 წელია, როცა ეფესოში მესამე მსოფლიო კრებამ ღმრთის შობა ქალწულისაგან დოგმატურ სწავლებად მიიღო.

ქრონოლოგიურ ჩარჩოებში, რომელშიც ს. ავერინცევის დასკვნით<sup>7</sup> აკათისტო დაიწერა (431-634), თავსდება როგორც პატრიარქი სერგის მოღვაწეობის წლები (610-638), ასევე თარიღიც საშინელი საფრთხისა, რომელიც დედაქალაქ განადგურებით 626 წლის ზაფხულში, ავარებისა და სლავების მრავალრიცხოვანი ჯარის შემოსევის შედეგად დამუქრა და რომლისაგანაც იგი ღმრთისმშობლის მფარველობამ იხსნა. საყურადღებოა, რომ ბიზანტიური ტრადიციით სწორედ ამ თარიღს – 626 წელს უკავშირდება აკათისტოს გამოყენება ლიტურგიაში: თანახმად ძველი სვინაქსარის შენიშვნისა, ეს საგალობელი პირველად 626 წლის 7

<sup>7</sup> Аверинцев С. Поэтика ранневизантийской литературы, М., 1977, гл. 232-234.

აგვისტოს შესრულებულა<sup>8</sup> და იგი მღვდელმსახურებსაც და მრევლსაც ფეხზე მდგართ მოუსმენიათ.

აკათისტოს აქვს შესავალი, რომელსაც ბერძნები კუკულიონს უწოდებდნენ, რაც ქართულად ქუდს ნიშნავს. იგი მიმართულია ღმრთისმშობლისადმი და ერთდროულად გამოხატავს როგორც მადლიერებას მის მიმართ, რადგან ბოლო წუთებში, როცა მტერი უკვე კედლებს მოადგა, ქალაქი მაშინ იხსნა, ასევე სასოებასაც იმის თაობაზე, რომ არც მომავალში მოაკლებს თავის შემწეობას და საფრთხეთაგან კვლავაც დაიცავს: „ზესთამბრძოლო წინამძღოლო უძლეველო, ვითარცა ხსნილნი საშინელ განსაცდელთაგან სამადლობელსა ალვნერთ, ღმრთისმშობელო შენდა მომართ ქალაქი შენი, არამედ, ვითარცა გაქვს ძლეიერებად უბრძოლველი, ყოველთაგან საფრთხეთა განმათავისუფლენ (— მიხსენ) მე, რათა გილალადო შენ:

**გიხაროდენ, სძალო უქორნინებელო“.**

ამგვარი შესავლის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ ავტორი იმ სასწაულის შესახებ გვაუწყებდა, რომლითაც ყოვლადწმინდა ქალწულმა იმპერიის დედაქალაქი გარემოდგომილი მტრისაგან დარბევას გადაარჩინა, რასაც, ალბათ, ლოგიკურად მისგან გაწეული შემწეობისა და მფარველობის სხვა მაგალითების გახსენებაც და ზეციური დედოფლისათვის ხოტბის შესხმა უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ საგალობელის ავტორი თხრობას ქალწულისაგან მაცხოვრის შობის გამოუთქმელი სასწაულის გახსენებით იწყებს, რომელსაც სათავე ხარების დღესასწაულით ედება. უკვე პირველი იკოსი გადმოსცემს, როგორ ახარა ანგელოზმა ყოვლადწმინდა ქალწულს, რომ მისგან იშვებოდა მესია, ვინც კაცობრიობას ცოდვისა და სიკვდილის მონობისაგან გამოიხსნიდა.

<sup>8</sup> PG, 92, col. 1352.

მომდევნო სტროფებში შემდგომი მოვლენები სახარებისეული თანმიმდევრობითაა გადმოცემული: მარიამის სტუმრობა ელისაბედთან, ღმრთებრივი ყრმის თაყვანისცემა მწყემსთა და მოგვთა მიერ, მირქმა, ღმრთის განკაცების მიზანი. აღსანიშნავია, რომ სტროფებში გადმოცემულ სახარებისეულ ყველა მოვლენას უშუალოდ დედა ღმრთისას სადიდებელი სტრიქონები მოსდევს, რომლებშიც შექებულია იგი, ვითარცა „ევას ცრემლთა დამშრეტელი“, „ზეცისა კიბე, რომლითაც გარდამოხდა ღმერთი“, „ხილი, დედამიწიდან ზეცად აღმყვანებელი“, კაცთათვის „სამოთხის ბჭეთა განმლებელი“, „ქალწულებისა და შობის შემაულლებელი“, „კაცთა აღმადგინებელი და ეშმაკთა დამამხობელი“, „მორწმუნეთა უფალთან შემაერთებელი სხივი გონიერი მზისა“ და სხვ.

კუკულიონის (შესავლის) გარდა, ჰიმნი თორმეტ წყვილ სტროფს შეიცავს, წყვილებიდან პირველი სტროფი პატარაა, ხოლო მეორე – დიდი. პატარა სტროფებს კონდაკები ეწოდებათ (კონდაკი კონტაკიონში არ უნდა აგვერიოს, რომელიც მთელს ჰიმნს ჰქვია), ხოლო დიდებს – იკოსები (იიკი ~ – სახლები).<sup>9</sup> დიდი სტროფები პატარებს სტრიქონების რიცხვით სამჯერ აღემატებიან.

ღმრთისმშობლის დაუჯდომელ საგალობელი აკროსტიქითაა გაწყობილი. 24 სტროფის დასაწყისი სიტყვების პირველი ასოებიუ ბერძნულ ალფავიტს ქმნიან, ასე რომ, ჰიმნს ანბანური აკროსტიქი ამშვენებს. ჰიმნს ამკობს რეფრენიც. პატარა სტროფებს – კონდაკებს მოცულობის შესაბამისი მოკლე ერთსიტყვიანი მინამლერი აქვთ: **ალილუია, ხოლო დიდ სტროფებს – იკოსებს რეფრენად ერთი სტრიქონი მოსდევს: გიხაროდენ, სძალო უქორნინებელო.**

<sup>9</sup> სტროფის სახელწოდება „სახლი“ (იიკი ~ – სახლი) ებრაულით უნდა აიხსნებოდეს, სადაც სახლი ერქვა, აგრეთვე, სიმღერა-საგალობელს. ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტ. ლიტ. ისტორია, გვ. 141.

როგორც ცნობილია ბიზანტიურ პოეზიაში რითმა, რომელიც განსაკუთრებით აძლიერებს პოეტური ქმნილების რიტმულობას, იშვიათად გამოიყენებოდა და ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა. რითმის სისტემური გამოყენების პირველ მაგალითად ს. ყაუხჩიშვილს პროკლე კოსტანტინეპოლელის ერთ-ერთ პომილიაში ჩართული დრამატული სცენის ორი ნაწყვეტი მოჰყავს, პროლოგს, რომელშიც ტაეპები გარითმულია, ორი ეპიზოდი, – ჯერ მარიამისა და იოსების დიალოგი, ხოლო შემდეგ მთავარანგელოზი გაბრიელის და ყოვლადწმინდა ქალწულის დიალოგი მოსდევს, რომლებშიც ტაეპები გარითმულია.<sup>10</sup>

რა თქმა უნდა, ამგვარ გამონაკლის შემთხვევებს საერთო სურათის შეცვლა არ შეეძლო და მენციერებაში აღიარებულია, რომ სალექსო რითმამ ფართო გამოყენება ბიზანტიურ პოეზიაში იმპერიის არსებობის დასასრულს ჰპოვა. ამგვარ ვითარებაში მკვლევარებს კარგა ხნის განმავლობაში ყურადღებიდან რჩებოდათ ჰიმნი, აკათისტო, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ 626 წელსაა დაწერილი და ამდენად ადრებიზანტიურ ეპოქას მიეკუთვნება, სალექსო რითმის თანმიმდევრულად გამოყენების მშვენიერ მაგალითს წარმოადგენს. საგალობლის „მკაცრად მოზომილსა და სტრუქტურულად მოწესრიგებულ რეფრენიან სტროფებში, რომელთაც ერთმანეთისაგან თანაბარი სიდიდის, ურითმო სტროფული ერთეულები ჰყოფს, რეგულარული ანუ სალექსო რითმის თანმიმდევრულად გამოყენება“ გამოკვეთილად შესამჩნევია.<sup>11</sup> აქვე შევნიშნავთ, რომ ღმრთისმშობლის სადიდებელად მიმართული ყველა სტრიქონი იწყება მისალმებით: გიხაროდენ (caire). ხაირეტიზმები იკოსის გამამშვენებელი და მისი

<sup>10</sup> იქვე, გვ. 151.

<sup>11</sup> Аверницев С. Пoэтика ранневизантийской литературы, გვ. 230-231.

სტრუქტურის დამახასიათებელი ნიშანია. როგორც წესი, იკოსში ორ-ორი სტრიქონია გარითმული:

„გიხაროდენ, სიღრმისაგან უმეცრებისა აღმომყვანებელო;  
გიხაროდენ, ბჭეო ცხოვნებისაო“.

როგორც ეს ს. ავერინცევმა შენიშნა,<sup>12</sup> ხაირეტიზმების ზოგიერთ წყვილში პირველი სტრიქონის ყველა სიტყვა მეორე სტრიქონის იმავე რიგში მდგომ სიტყვასთანაა შეუღლებული და გარითმული. მაგალითად:

caire, di h~ cara; ekl amyei;  
caire, di h~ aja' ekl eiyei.

(გიხაროდენ, რომლისაგან სიხარული გამობრწყინდების  
გიხაროდენ, რომლისგან წყევა განქარდების).

აკათისტო ყურადღებას იქცევს ანტითეზებითაც; სიკეთისა და ბოროტების შეპირისპირება ხელს უწყობს საერთო სურათის შექმნას ხილული სამყაროსი, რომელიც მათი ბრძოლის ასპარეზადაა ქცეული და ამ ფონზე განსაკუთრებით ცხადად იკვეთება სიდიადე ქალწულისაგან ღმრთის შობის სასწაულისა, ზეციურ ძალთა განსაცვიფრებლად და საგოდებელად ბოროტი სულებისა:

„გიხაროდენ, ანგელოზთა მრავალგანთქმულო საკვირველებაო,  
გიხაროდენ, ეშმაკთა მრავალსაგოდებელო წყლულებაო“.

ღმრთისმშობლის დაუჯდომელი საგალობელი ქართულადაც ითარგმნა, თუმცა არ ვიცით, როდის და ვის მიერ. აღსანიშნავია, რომ ქართველი მთარგმნელისათვის ჰიმნის ავტორი რომანოზ მელოდოსია.

---

<sup>12</sup> იქვე, გვ. 235.